დანართი N1

აუდიტორის უფლებამოსილების და შესაბამისი კატეგორიის მინიჭების საკითხზე კანდიდატთა მიერ წარმოდგენილი პრეტენზიების განმხილველი კომისიის დებულება

მუხლი 1. კომისიის ფუნქციები

1. აუდიტორის უფლებამოსილების და შესაბამისი კატეგორიის მინიჭების საკითხზე კანდიდატთა მიერ წარმოდგენილი პრეტენზიების განმხილველი კომისია (შემდგომში - კომისია) უზრუნველყოფს აუდიტორის უფლებამოსილების და შესაბამისი კატეგორიის მინიჭების საკითხზე მიღებული წინასწარი შედეგების თაობაზე კანდიდატთა პრეტენზიების (შემდგომში - პრეტენზიები) განხილვას.

2. პრეტენზიები წარმოდგენილ უნდა იქნას აუდიტორის უფლებამოსილების და შესაბამისი კატეგორიის მინიჭების საკითხზე მიღებული წინასწარი შედეგების კანდიდატისათვის გაცნობიდან 2 სამუშაო დღის ვადაში. აღნიშნული ვადის გასვლის შემდგომ წარმოდგენილი პრეტენზიები არ განიხილება.

3. გადაწყვეტილების გაცნობად ითვლება შემოსავლების სამსახურის მიერ კანდიდატისათვის ელექტრონული ფოსტის/მობილური კომუნიკაციის საშუალებებით წინასწარი შედეგების შესახებ ინფორმაციის მიწოდება.

4. პრეტენზიები წარმოდგენილ უნდა იქნეს წერილობითი ფორმით, შესაბამისი დასაბუთების მითითებით.

მუხლი 2. კომისიის საქმიანობისა და გადაწყვეტილების მიღების წესი

1. კომისია საქმიანობას ახორციელებს სხდომების მეშვეობით, რომელსაც ხელმძღვანელობს კომისიის თავმჯდომარე.

2. კომისიის სხდომა უფლებამოსილია, თუ სხდომას ესწრება კომისიის წევრთა უმრავლესობა. კომისიის მიერ გადაწყვეტილება მიიღება დამსწრეთა უმრავლესობით. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია კომისიის თავმჯდომარის ხმა.

3. კომისია უფლებამოსილია პრეტენზია განიხილოს ამ პირის მონაწილეობით ან მონაწილეობის გარეშე.

4. კომისიის სხდომაზე პირის მოწვევის შემთხვევაში, კომისიის სხდომის დროისა და ადგილის შესახებ პირს ეცნობება ელექტრონული ფოსტის/მობილური კომუნიკაციის საშუალებით.

5. კომისიის გადაწყვეტილება ფორმდება სხდომის ოქმით, რომელსაც ხელს აწერენ კომისიის თავმჯდომარე და კომისიის წევრები (მათ შორის კომისიის მდივანი).

მუხლი 3. კომისიის გადაწყვეტილება

1. კომისია იღებს გადაწყვეტილებას პრეტენზიის დაკმაყოფილების (დადებითი შეფასების მინიჭების) ან დაკმაყოფილებაზე უარის თქმის (აუდიტორის უფლებამოსილებისა და შესაბამისი კატეგორიის მინიჭების საკითხის განმხილველი კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების) შესახებ.

2. აუდიტორის უფლებამოსილებისა და შესაბამისი კატეგორიის მინიჭების საკითხის განმხილველი კომისიის სხდომაზე პირის საპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის გამო, ფიზიკური პირისათვის აუდიტორის უფლებამოსილებისა და კატეგორიის მინიჭებაზე

უარის თქმასთან დაკავშირებული პრეტენზიის დაკმაყოფილების შემთხვევაში, კომისია უზრუნველყოფს პირთან გასაუბრებას და იღებს შესაბამისი გადაწყვეტილებას (რეკომენდაცია აუდიტორის უფლებამოსილებისა და შესაბამისი კატეგორიის მინიჭების ან მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ).

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული კომისიის გადაწყვეტილება საბოლოოა და შემოსავლების სამსახურში მასზე პრეტენზია არ წარედგინება.

მუხლი 4. კომისიის საქმიანობის ორგანიზაციულ-ტექნიკური უზრუნველყოფა

1. კომისიის მდივანი:

ა) უზრუნველყოფს კომისიის სხდომის გამართვის ორგანიზებას;

ბ) პასუხისმგებელია კანდიდატთა მიერ წარმოდგენილი პრეტენზიების აღრიცხვასა და სათანადო რეაგირებაზე;

გ) პასუხისმგებელია კომისიის სხდომის ოქმის სწორად და ზუსტად შედგენის, სხდომის მასალების შენახვისა და დაცვისათვის.

2. კომისიის საქმიანობის ორგანიზაციულ-ტექნიკურ უზრუნველყოფას ახორციელებს შემოსავლების სამსახურის იურიდიული დეპარტამენტი.